ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული

თანასწორობის საბჭოს სხდომის

ოქმი N2

ქ. ხონი 27 აპრილი 2022 წელი

2022 წლის 27 აპრილს გაიმართა ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომა რომელსაც ხელმძღვანელობდა საბჭოს თავმჯდომარე კობა კუბლაშვილი საბჭოს 23 წევრიდან სხდომას ესწრებოდნენ: მანანა გოფოძე, ზაზა ვაშაკიძე, დემური სულაბერიძე, გურამი ბახტაძე, ზურაბ მიქაძე, ზაზა რუხაძე, ბაჩანა ბასილაია, ელისო ლიპარტელიანი, ეთერი უგულავა, თეკლა ონიანი, ელისო ჯიქია, აკაკი ქვათელაძე .

სხდომის დღის წესრიგი:

1.საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ
მომხსენებელი: კობა კუბლაშვილი - გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე
2.საბჭოს წევრებს შორის ფუნქცია მოვალეობების გადანაწილების შესახებ.
მომხსენებელი: ელისო ჯიქია - გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
3.პარლამენტის გენდერული საბჭოს მიერ დადგემილ ტრენინგში მონაწილეთა განსაზღვრის შესახებ.
მომხსენებელი: კობა კუბლაშვილი - გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე

დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხზე: „საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ“ საბჭოს წევრებს მიმართა საბჭოს თავმჯდომარემ კობა კუბლაშვილმა, მან საბჭოს წევრებს წარუდგინა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ ელისო ჯიქიას კანდიდატურა რომელსაც საბჭოს წევრებმა ერთხმად დაუჭირა მხარი.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხზე: „საბჭოს წევრებს შორის ფუნქცია მოვალეობების გადანაწილების შესახებ“. საბჭოს წევრებს მიმართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ელისო ჯიქიამ, მან ღნიშნა რომ საბჭოს საქმიანობის პირველ ეპატზე სასურველია გავააქტიუროთ საჭოს საქმიანობის ტექნიკური უზრუნველყოფა კერძოდ მუნიციპალიტეტის გვერდზე საბჭოს საქმიანობის გაშუქება (თ. ონიანი). ამასთან ერთად საბჭოს წევრებს ზ. მიქაძეს და გ. ბახტაძეს დაევალათ წერილების მომზადება მუნიციპალიტეტში მომქმედ აიპებზე გენდერულ ჭრილში ინფორმაციის გამოთხოვასთან დაკავშირებით. საბჭოს წევრების მხრტიდან გამოთქმულ იქნა სარეკომენდაციო წინადადებები 1.არსებულიკანონმდებლობის გაცნობა უცხოური ქვეყნების გამოცდილებიდან, 2.დონორებთან ურთიერთობებში დახმარება, 3.ბიუჯეტის ანალიზი გენდერულ ჭრილში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხზე: პარლამენტის გენდერული საბჭოს მიერ დადგემილ ტრენინგში მონაწილეთა განსაზღვრის შესახებ. საბჭოს წევრებს მიმართა საბჭოს თავმჯდომარემ კობა კუბლაშვილმა მან აღნიშნა რომ პარლამენტთან არსებული გენდერული საბჭოს თაოსნობით საირმეში იმართება ტრენინგი რომელზეც მივლინებულ უნდა იქნას 4 საბჭოს წევრი. საბჭოს გადაწყვეტილებით ტრენინგზე გაემართებიან კ. კუბლაშვილი, ე. ჯიქია, მ.გოფოძე და გ.მჟავანაძე.

სხდომის დღისწესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვასთან დაკავშირებით სხდომა დახურულად გამოცხადდა.

გენდერული თანასწორობის სხდომის

თავმჯდომარე : **კობა კუბლაშვილი**

სხდომის მდივანი: **აკაკი ქვათელაძე**